საბჭოთა აღმშენებლობა და ქართველი მეცნიერები

საუბარი პროფ. კ. კეკელიძესთან

(საბჭოთა აღმშენებლობის ხელის შემწყობ მეცნიერ-ტექნიკოსთა საზოგადოების დაარსების გამო)

ჩვენი გაზეთის 16 ოქტომბრის ნომერში მოთავსებული იყო დეპეშა, რომელიც იუწყებოდა, რომ საბჭოთა გამოჩენილ მეცნიერთა და სხვადასხვა საბუნებისმეტყველო დარგების სპეციალისტთა თაოსნობით მოსკოვში ეწყობა სოციალისტური მშენებლობის ხელის შემწყობი მეცნიერ-ტექნიკოსთა საზოგადოება, რომლის წესდებაც ესლა იხილება სათანადო საბჭოთა ორგანოებში. ამავე ნომერში მოთავსებული იყო საინიციატივო ჯგუფის დეკლარაცია. მოსკოვში ამ საზოგადოების დაარსების გამო, ჩვენი გაზეთის თანამშრომელი შეეკითხა ქართულ მეცნიერების ერთ-ერთ თვალსაჩინო მუშაკს, პროფ. კ. კეკელიძეს იმის შესახებ. თუ როგორ შეხვდენ ქართველ სამეცნიერო წრეებში ზემოხსენებულ საზოგადოების დაარსების იდეას.

— სოციალისტური მშენებლობის ხელის შემწყობ მეცნიერ-ტექნიკოსთა საზოგადოების დაარსების იდეას,—განაცხადა პროფ. კ. კეკელიძემ, მეტად თანაგრძნობით შეხვდენ ყველა ქართველი მეცნიერები და ტექნიკის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

საბჭოთა ხელისუფლების მიზანი—სოციალისტური აღმშენებლობა—ამ ათი წლის მუშაობით უკვე საკმაოდ გამოაშკარავდა.

ჩვენ, ქართველი მეცნიერები, რომელნიც საზოგადოების ეკონომიურ-კულტურული გარდაქმნისათვის წარმოებულ ბრძოლის აქტიურ მონაწილეებს წარმოვადგენთ, საჭიროდ და აუცილებლად ვსთვლით,—რაც შეიძლება დაუახლოვდეთ იმ პრაქტიკულ საქმიანობას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება სოციალისტურ მშენებლობის განსახორციელებლად აწარმოებს.

ქართული მეცნიერების მუშაკთა პოზიცია ორ მპირდაპირე სისტემას, სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის გამართულ ბრძოლაში საკმაოდ ნათლად არის გამორკვეული, და ახლა ჩვენს მორიგ ამოცანას წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა პრაქტიკული ღონისძიებებით.

მეცნიერთა ახალი საზოგადოება სოციალისტური მშენებლობის საქმეს დაეხმარება იმით, რომ ის იქნება არა მარტო სოციალისტურად მოაზროვნე სამეცნიერო-ტექნიკურ მუშაკთა გაერთიანება, არამედ ისეთი ორგანიზაციაც, რომელსაც გარკვეული ექნება გათვალისწინებული, თუ რა მიზნებს ისახავს და რა პრაქტიკული ღონისძიებებით იბრძვის ამ მიზნების განსახორციელებლად. საბჭოთა რესპუბლიკების წინაშე მდგარი ამოცანები კოლოსალურად დიდია. ახალი, სოციალისტური საზოგადოება შენდება მტკიცე განსაზღვრული გეგმით, და მაშასადამე, ამ მშენებლობის დროს აღნუსხული, გათვალისწინებული და დამუშავებული უნდა იქნეს გრანდიოზული საალმშენებლო გეგმის ყველა დეტალები, ყველა შემადგენელი ელემენტები. ეს უდიდესი ამოცანები მოითხოვენ კოლოსალურ შრომას, ამ შრომის გზის მაჩვენებელი.—საბჭოთა აღმშენებლობის პრინციპები — ჩვენ გვაქვს და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ შრომას აქვს განსაზღვრული მიზანი, ჩვენი მუშაობაც უნდა იქნეს არა უსისტემო, სტიქიური, არამედ მტკიცედ ჩეგმაშეწონილი და გარკვეული მიმართულების მქონე.

ერთ-ერთი საუკეთესო პასუხი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გავცეთ და გავცემთ კიდეც მათ, ვინც ყოველგვარ საშუალებით ხელს უშლის ჩვენი რესპუბლიკების სამეურნეო განვითარებას და კულტურულ მშენებლობას, იქნება მოწყობა ზემოხსენებული საზოგადოებისა, რომელშიც, მე დარწმუნებული ვარ, დიდი ხალისით მიიღებს მონაწილეობას ქართული მეცნიერების ყველა მუშაკი.

ჩვენ, ქართველი მეცნიერები და ტექნიკის მუშაკნი, ველით წესდებას, რომლის მიღებისთანავე შეეფოდგებით ანალოგიური საზოგადოების ორგანიზაციას.